პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 22 იანვარი № 18 (16755) ფასი 2 კაპ. 1977

ერთი წელი საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ

ყრილობის გადაწყვეტილებანი — ყოველდღიური საბრძოლო პროგრამა!

ასე ვიშრომეთ, ასე ვიარეთ წინ, ასე ვფიქროთ ხვალინდელ დღეზე

სწორედ ამაზე მოგითხრობთ „კომუნისტის“ მეორე გვერდზე გამოქვეყნებული მასალები.

პარტიის მოწოდებით, გულის კარნახით

ამ დღეებში ხალხთაშორისი, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები იმ დიდი შთაბეჭდილებით არიან გამსჭვალული, რომელიც მან მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მკაფიო და შინაარსიანმა სიტყვამ, ქალაქ ტულისათვის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ ხაზეიმო სხდომაზე, რომ წარმოთქვა.

ამ სიტყვამ განსაკუთრებული ინტერესი და კეთილი ხიამაყე გამოიწვია ჩვენი დიადი სამშობლოსათვის — ქვეყნად მშვიდობის, ბედნიერებისა და სამართლიანობის მედროშისათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის, რომელიც განუხრელად ადგას ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების ლენინურ პოლიტიკას.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში საფუძვლიანად, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით არის გაანალიზებული პარტიის სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკა, თანამედროვე ეტაპზე მისი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა, ხაზგასმულია ის მთავარი ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა, პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, თვითეული კომუნისტისა და მშრომელის დარაზმვა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დაკონკრეტებულია საბჭოთა ხალხოვანოების განვითარების სოციალური პროგრამა, რომელსაც გულისხმობს მეათე ხუთწლედის გეგმა, კომუნისტური პარტიის მთელი პოლიტიკა და რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფას.

ეს პროგრამა მკაფიო გამოხატულებას პოულობს მშრომელთა ცხოვრების პირობების განუხრელ გაუმჯობესებაში, ხელფასის მომატებაში, რაც შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერების ზრდის კანონზომიერი შედეგია.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ახე მკაფიოდ და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, და დარწმუნებული არიან, რომ ეს პოლიტიკა იცავს მათს სამშობლოს ომისაგან, შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს, ფართო ხარბიელს უქმნის მათს შეიარაღებასა და თანამშრომლობას, ხელს უწყობს მთელ პლანეტაზე სოციალური პროგრესის საქმეს. სოციალისტური სამშობლოსათვის ხიამაყის გრძნობით მათ შეგნებული აქვთ, რომ კაცობრიობის წინაშე არც ერთ ქვეყანას არ დაუსახავს ისეთი ფართო, კონკრეტული და რეალისტური პროგრამა, როგორც საბჭოთა კავშირმა დასახა, პროგრამა, რომლის მიზანია ახალი ომის საფრთხის შენელება, შემდეგ კი მთლიანად აღკვეთა.

ამ ღრმაშინაარსიან სიტყვაში მოცემულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ყოველმხრივი და ზუსტი ფორმულა, რომელიც უაღრესად სრულად განსაზღვრავს როგორც მდგომარეობის არსს, ისე დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის პროგრამას. ეს უწინარეს ყოვლისა არის „ცივი ომის“ დაძლევა, სახელმწიფოთა ნორმალურ, სტაბილურ ურთიერთობაზე გადასვლა. დაძაბულობის შენელება.—ეს არის მზადყოფნა გადავწყვიტოთ უთანხმოებანი და დავა არა ძალით, არა მუქარითა და იარაღის ყაყარუნით, არამედ მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების მაგიდასთან. დაძაბულობის შენელება — ეს არის გარკვეული ნდობა და ერთმანეთის კანონიერი ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევა“.

გამოხატა რა ყველა ხაბჭოთა მშრომელის ნება ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიისა და მთელი ხალხის სახელით საქვეყნოდ გაანაცხადა: ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ დაადგება აგრესიის გზას, არასოდეს არ ალმართავს მახვილს სხვა ხალხების წინააღმდეგ.

ლ. ი. ბრეჟნევმა დააკონკრეტა მთელი პარტიის, მთელი ხაბჭოთა ხალხის წლევანდელი ამოცანები, განსაზღვრა მათი განხორციელების გზები, რაც უწინარეს ყოვლისა იმით ფასდება, რომ ყველა შრომითმა კოლექტივმა მთელი წლის განმავლობაში რიგმულად, ძალღონის დაუზოგავად იმუშაოს.

ახლა, როცა 1977 წლის ამოცანები განსაზღვრულია და მეათე ხუთწლედის მეორე წელი უკვე დაწყო, საჭიროა მაქსიმალურად გამოიყენოთ თვითეული სამუშაო დღე, თვითეული სამუშაო წუთი, მშრომელთა დიდი პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმი თვითეული შრომითი კოლექტივის ეფექტიანობისა და ნაყოფიერი მუშაობის მიხაღწევად.

ახლა, ახალი წლის პირველ კვირებში, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის ზრდის ეს ამოცანა, — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ კარგი დასაწყისი უკვე საქმის ნახევარია, ნათქვამი განსაკუთრებით შეეხება ხუთწლედს, რომელსაც სამართლიანად ეწოდა ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი. იმისთვის, რომ დაგეგმილ რაოდენობრივ ზრდას ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, ეფექტიანობა, ეფექტიანობა, ეფექტიანობა — ეს ერთადერთი ფორმულა, ეს ერთადერთი ბილეთია,

ერთი წელი საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ

ყრილობის გადაწყვეტილებანი — ყოველდღიური საბრძოლო პროგრამა!

ასე ვიშრომეთ, ასე ვიარეთ წინ, ასე ვფიქროგთ ხვალინდელ დღეზე

დღეს 22 იანვარია...

ზუსტად ერთი წლის წინათ, 1976 წლის 22 იანვარს, თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა, რომელმაც მიმდინარე, მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მშრომელის მოქმედების ნათელი პროგრამა დასახა.

ეს პროგრამა ნაწილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეხუთე ყრილობის გადაწყვეტილებისა და იმ კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს გვიჩვენებს, რითაც გადაჭრით უნდა ავამაღლოთ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დონე, რომ საქართველო ქვეყნის კიდევ უფრო მოწინავე პოზიციებზე გავიდეს, ბოლომდე აღმოვფხვრათ სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის მძიმე შედეგები, კიდევ უფრო გავაჯანსაღოთ რესპუბლიკის საზოგადოებრივი ატმოსფერო, ყველგან და ყველა უბანზე დავამკვიდროთ ცხოვრების ლენინური ნორმები.

ეს, სწორედ ეს, ჩვენი რესპუბლიკის თვითთეული კომუნისტის, თვითთეული მშრომელის სახელისა და ღირსების საქმეა.

დიახ, ერთი წელი გავიდა საქართველოს კომუნისტთა ოცდამეხუთე ფორუმიდან... რამდენად ნაყოფიერი იყო იგი ჩვენთვის? როგორ ვიშრომეთ, ვიბრძოლეთ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის? რა თქმა უნდა, წინ უფრო დიდი სამუშაოა, მაგრამ უკვე იმის დროც არის, რომ შევაჯამოთ დღემდე გადადგმული ჩვენი ნაბიჯების სისწორე, ჩვენი მუშაობის ტემპი, საქმის სიყვარული და გულმოდგინება.

მაშ, გულახდილად ვისაუბროთ სწორედ იმაზე, თუ რა გამოაკეთეთ დღემდე, სად, მუშაობის როგელ უბანზე ჩამოგვრჩა საქმე. რა დამატებითი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო, რომ თვითთეულმა ჩვენგანმა უფრო მეტი წვლილი შეიტანოს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲩᲥᲐᲠᲬᲚᲜᲣᲚᲘ ლნობის ოსტატია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ენვერ შანიძე. მან შარშანდელი დავალება ათ თვეში შეასრულა და 200 ტონა ზეგეგმითი ფოლადი გამოადნო. წლეულს იგი მეტი ზეგეგმითი ფოლადის გამოდნობას კისრულობს.

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲡᲐᲒᲐᲖᲝᲤᲮᲣᲚᲘ თესვისათვის ამზადებენ ტექნიკას „საქსოფლტექნიკის“ თელავის რაიონული განყოფილების მექანიზატორები. ტექნიკა მთლიანად მზად იქნება ვადაზე 10 დღით ადრე! — ასეთია შემკეთებლების (მარცხნიდან) ფ. ალადაშვილის, ვ. ბუხვაიძის და ა. აბრამიშვილის ვალდებულება.

ე. ეფინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წლეულს პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას გვპირდებიან ცხაკაიელი მეხალჩეები, რომელთა პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაში. აღვნიშნავთ წუნი, — ამ დღეებით შრომობენ ოსტატის თანაშემწე ვ. ხუხუა, მუშები ქ. კობახიძე და მ. იოსავა.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მთავარი საზრუნავი

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

სწრაფად გაირბინა 1976 წელმა დაძაბულ შემოქმედებითს შრომაში. და როცა თვალს ვავლებთ შედეგებს, ვრწმუნდებით, თუ რა შინაარსიანი იყო, რა ღრმა კვალი გაავლო მან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ყველა კეთილ საქმეს ახალი მძლავრი იმპულსი მისცა სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის ცნობილმა გადაწყვეტილებებმა, რომლებმაც განსაზღვრა, ჩამოაყალიბა, დასახა ჩვენი ყოველდღიური მოქმედების კონკრეტული საბრძოლო პროგრამა.

ეკონომიკა ჩვენს მთავარ საზრუნავად, ყველაზე დიდმნიშვნელოვან და ყველაზე საინტერესო პოლიტიკად გადაიქცა.

ამ შემთხვევაში ციფრები ყოველგვარ სიტყვებზე უფრო მჭევრმეტყველურად ლაპარაკობენ. რაიონის მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების შარშანდელი გეგმა 104,3 პროცენტით შესრულდა, ხოლო რეალიზაციისა — 105,8 პროცენტით. მნიშვნელოვნად გამოასწორეს მდგომარეობა სამშენებლო ორგანიზაციებმა, რომლებმაც წლიური დავალება გადაჭარბებით გაანდიდეს.

ამინდის უმძიმესი პირობების მიუხედავად მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 2.057 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 187 ტონით აღემატება სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებულ ციფრს.

მეათე ხუთწლედის პირველი წელი რეკორდული გახდა მეთამბაქოეებისათვის. მათ აფხაზეთში ერთ-ერთმა პირველებმა შეასრულეს სურნელოვანი „სამსუნის“ დამზადების არა მარტო წლიური დავალება, არამედ ნაკისრი ვალდებულებაც, რაც 2.000 ტონას ითვალისწინებდა! სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდა 1.000 ტონაზე მეტი ეთერზეთოვანი ნედლეული, 2.600 ტონა ციტრუსების ნაყოფი, 3,5-ჯერ და მეტად გადაჭარბეს შარშანწინდელ დონეს მებოსტნეებმა.

გულრიფშელმა მეცხოველეებმა, რომლებიც ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებს, მთლიანად გაანადღეს ხორცისა და რძის წარმოების დავალება.

კეთილსასურველი ძვრები ხდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

უწინარეს ყოვლისა მიზნად დაისახეთ პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის, კომუნისტთა ავანგარდული როლისა და მათი პასუხისმგებლობის ამაღლება, პრინციპული ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფეროს შექმნა.

პარტიის რაიკომმა მნიშვნელოვნად აამაღლა მომთხოვნელობა კომუნისტი ხელმძღვანელებისადმი. მთელ რიგ უბნებზე მან დააყენა ისეთი ამხანაგები, რომლებიც ორგანულად აერთიანებენ პარტიულობას ღრმა კომპეტენტურობასთან, დისციპლინიანობას ინიციატივასთან და საქმიანობამ შემოქმედებითს მიდგომასთან.

დამახასიათებელია ამ მხრივ ფშაფის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, წებელდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის, ზერეულის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობისა და სხვათა მაგალითები, რომლებმაც შარშან მაღალ შედეგებს მიაღწიეს.

შეიძლება ითქვას, რომ პირველი სერიოზული ნაბიჯები გადადგეთ მეცხოველეობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზაზე.

მაგალითად, მებოსტნეობა ჩვენთან ახლა თავმოყრილია შვიდ მეურნეობაში, ნაცვლად 14-სა. მთიან ზონაში შეიქმნა ორი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა 5 მცირეძალოვანი კოლმეურნეობის ბაზაზე. მაღალ ეკონომიურ მაჩვენებლებს აღწევს ღორის სასუქებელი სამეურნეობათაშორისო მოედანი. მისი წარმადობა მალე სამჯერ გაიზრდება. ლენელიძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის ბაზაზე მოქმედებს მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო კომბლექსი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასაზრდელად და გასასუქებლად, ამ დღეებში მწყობრში შევიდა მსხვილფეხა-რქიანი პირუტყვის გამოსაკვები კომბლექსი 800 სულისათვის.

ცხადია, წარმოების ზრდის სწრაფ ტემპებს ვერ მივაღწევდით, თუ სათანადოდ არ მოვაწყობდით შრომითს მეტოქეობას, თანამიმდევრულად არ განვახორციელებდით საჯაროობის, შესადარისობის პრინციპებს, თუ არ შევქმნიდით პირობებს მორალური და მატერიალური სტიმულირებისათვის. ახლა რაიონში სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე ათობით კოლექტივია, რომლებსაც იერიში მიაქვთ მეათე ხუთწლედის მეორე წლის მიჯნებზე, რწმენით უსწრებენ წინ კალენდარს.

იმ წარმატებათა მიღწევაში, რომლებითაც აღვნიშნეთ მეათე ხუთწლედის პირველი წელი, დიდად დაგეხმარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის გულრიფშის რაიონზე, რომელიც ჩვენი მოქმედების საბრძოლო პროგრამა გახდა.

ყოველივე ეს არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას.

ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი რუსთაველ მეტალურგთა თიოსნობის შემდგომი გაჯანსაღებისათვის, ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის აქტივიზაციისათვის, რომელთაგან ერთ-ერთია სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონო გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მართალია, შარშან ამგვარმა ფაქტებმა იკლო, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია თავი დავიმშვიდოთ მანამდე, სანამ რაიონში საერთოდ აღარ იქნებიან სპეკულანტური მიზანმიმართულების ადამიანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რეტომბრის პლენმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის მუშაობას წითელ ზოლად გასდევდა დევიზი — **ვეძებოთ რეზერვები!** ყველფერს ეიღონებთ, რათა ახლო მომავალში ძირითადად მოვსპოთ სასოფლო-სამეურნეო ქვეგანაყოფთა ზარალიანობა და ნაკლებრენტაბელობა.

მეათე ხუთწლედში ყველა ეკონომიური პრობლემის გადაჭრისას კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ სახალხო მეურნეობის დარგებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, დავიცავთ ლენინურ პრინციპს — პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობას, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობაში, გავაძლიერებთ იდეოლოგიურ მუშაობას და უზრუნველყოფთ ცხოვრებასთან მის ურღვევ კავშირს. ენერგიულად ვიმუშავებთ თვითკონტროლის, თვითდისციპლინისა და თვითაღრდისათვის. ჩვენს აქტიურ ამოცანად კვლავ დარჩება ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲚᲔᲥᲕᲐᲫᲔ,

საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომის პირველი მდივანი.

როცა თაოსანი ხარ

ᲙᲐᲠᲮᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲐᲜᲗᲐᲡ!

ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა გაიმართა. თითქმის ერთი წელიწადი გვაშორებს სკკპ XXV ყრილობასაც, რომელმაც მეათე ხუთწლედმი ეფექტიანობის ამაღლების და ხარისხის საყოველთაო გაუმჯობესების დიდი ამოცანები დაუსახა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგს.

რა გავაკეთეთ განვლილ პერიოდში პარტიისა და მთავრობის წინასწარდასახულთაგან შესრულებისათვის? შევძელით თუ არა ძირეული გარდატეხის მიღწევა ჩვენ საქმიანობაში, შევასრულეთ თუ არა ნაკისრი ვალდებულებები?

ეი კითხვები, რომლებსაც ახლა პასუხი უნდა გასცეს თვითეულმა შრომითმა კოლექტივმა, თვითეულმა მშრომელმა, და თვითკრიტიკულად შეაფასოს ამ ხნის მანძილზე გაწეული მუშაობა.

მიმდინარე ხუთწლედის პირველმა წელიწადმა თვითეულ კოლექტივს მომავალი მუშაობის კონკრეტული მიმართულება მისცა, განუსაზღვრა და დაუსახა გზები ეფექტიანობის და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

თუ ამ კითხვით მივუდგებით ჩვენი კოლექტივის მუშაობას, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული წარმატებები და მიღწევები გვქონდა. გადაჭარბებით შესრულდა მეათე ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო დავალებები და ნაკისრი ვალდებულებანი, სამშობლომ გეგმის გადამეტებით 8.800 ტონა მეტალურგიული კოქსი, 11.000 ტონა თუჯი, 17.000 ტონა ფოლადი, 21.000 ტონა მზა ნაგლინი, 8.000 ტონა მილები.

ეს წარმატება შემთხვევით არ მოსულა. იგი ჩვენი საერთო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი მზრუნველობის, დახმარების შედეგად ჩვენმა კოლექტივმა იწამა საკუთარი შესაძლებლობები.

მეტალურგებმა უმალ იგრძნეს, რომ რესპუბლიკის ცხოვრებაში ახალმა სიმამ დაბერა და თვითონვე, თავიანთი ინიციატივით გადაწყვეტეს ამ დადებითი ძვრებისათვის საკუთარი ბიძგიც შეეშველებინათ. ასე იშვა ჩვენი კოლექტივის ინიციატივა — **„არცერთი ჩამორჩენილი, არცერთი დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით.“**

შეჯიბრებამ ბევრი რამ გვიჩვენა, დაგვანახა ჩვენი კოლექტივის კარგი მხარეც და ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვებიც. მაგრამ მთავარი მისი დევიზიც, რომ სწორედ ამ გამოუყენებელი შესაძლებლობების, ნაკლოვანებებისა და ვიწრო ადგილების სრული გამოვლენება და აღმოფხვრა იყო.

ინიციატივის გაღრმავებას, გაფართოებას და ეფექტიანობას ხელი შეუწყო მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებზე პარტიისა და მთავრობის დიდმა ზრუნვამ. ჩვენი ტექნიკური სამსახურის მუშაობის მკვეთრმა გამოცოცხლებამ, რითაც ტექნიკური პროგრესი დაჩქარდა.

მეათე ხუთწლედის პირველმა წელიწადმა ჩვენი ქარხნის მაგალითზე ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ პარტია და მთავრობა განუხრელად ახორციელებენ ლენინურ პრინციპს: „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი მისი კეთილდღეობისათვის“. სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიერ ამ ჰუმანური პრინციპის განხორციელებისათვის დასახული ამოცანების პრაქტიკული ხორცშესხმის პირველი დიდი ნაბიჯი გადადგა ჩვენმა კოლექტივმა.

თვითონ განსაჯეთ: მარტო შარშან მეტალურგთა 300-ზე მეტმა ოჯახმა ახალმოსახლეობა იზეიმა, ათასამდე მეტალურგის შვილები ქარხნის პიონერთა ბანაკებში ისვენებდა, თითქმის ყველა სასადილოს რეკონსტრუქცია გაუკეთდა, აშენდა ახალიც, მწყობრში ჩადგა დასასვენებელი სანატორიუმები. **თუ 1975 წელს მუშის წლიური საშუალო ხელფასი 2.221 მანეთს შეადგენდა, 1976 წელს 2.379 მანეთამდე გაიზარდა.** შრომის ნაყოფიერებაც შესაბამისად გადიდდა — 4 პროცენტით, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვით 150-ზე მეტ მუშას შეუმსუბუქდა შრომის პირობები, 43 მუშა გამოთავისუფლდა მძიმე ფიზიკური შრომისაგან და ა. შ.

წარმოების თითქმის ყველა რგოლში ამაღლდა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. წინა წელთან შედარებით შრომის დისციპლინის დარღვევები 50 პროცენტით და მეტად შემცირდა, დღეს საწარმოში ბევრია ისეთი საამქრო, სადაც არცერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო არა ჰყავთ.

მაგრამ შარშანდელი წლის მუშაობის შედეგები თვითდამშვიდების არავითარ საფუძველს არ გვაძლევს. **ჩვენ კარგად ვიცით, რომ მტკიცე და თვითდაჯერებული წინსვლისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ფხიზლად და კრიტიკულად შევაფასოთ ჩვენი წარმატებანი და ძირითადი ყურადღება დავუთმოთ მიმდინარე პრაქტიკული საქმიანობის ნაკლოვანებებს.**

წლეულს ჩვენი კოლექტივი უფრო დიდი ამოცანების წინაშე დგას და ამრტომ, პასუხისმგებლობაც მეტი გვეკისრება. ცხადია, აქედანვე ვეძებთ ძირითად ასამოქმედებელ რეზერვებს, რითაც ეფექტიანობის ამაღლებას და ხარისხის გაუმჯობესებას შეეძლებთ. **ეს გზა კვლავ და კვლავ ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, აგრეთვე წარმოების მართვის სრულყოფაა.**

ამ მხრივ განსაზორციელებელი ღონისძიებები, გადასაჭრელი პრობლემები, ძირითადად დამუშავებულია. მათი პრაქტიკული ხორცშესხმა ორი მიმართულებით გვიხდება: **პირველი ახალი სიმძლავრეების შენებლობას, არსებულის რეკონსტრუქციას და გადახალისებას ითვალისწინებს, ხოლო მეორე — წარმოებასა და მეცნიერებას შორის კავშირის განმტკიცებას.** დაინერგება ავტომატიზებული მართვის სისტემა, ათვისებული იქნება ახალი სახეობის პროდუქცია, მოხდება მძიმე სამუშაოთა მექანიზაცია.

ახლახან საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე შემუშავდა საქართველოს მშრომელთა ახალი ვალდებულებები. ჩვენი წვლილი მათში შარშანდელზე მეტი იქნება. ეს გასაგებიც არის. სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის წლეწადმა ბევრი სიახლეთი გაგვამდიდრა. ამიტომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გამლილი შეჯიბრება უფრო ეფექტიანი იქნება, ვალდებულებაც მეტად პასუხსაგები გვაქვს ნაკისრი — წლეულს არცერთი ჩამორჩენილი აღარ უნდა გვყავდეს ჩვენ რიგებში.

ჩვენ თაოსნები ვართ და ეს დიდი პირობაც პირველებმა უნდა შეგასრულოთ.

Ო. ᲡᲣᲚᲐᲫᲔ,

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, საქართველოს კპკ XXV ყრილობის დელეგატი.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ — ᲓᲘᲓᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲬᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲓᲐᲜ

პედაგოგი — პარტიული ყრილობის დელეგატი! ეს პატივი მარტო მე როდი მხვდა — იგი იყო რესპუბლიკის სახალხო განათლების ყველა მუშაკის დიდი პატივიც, პედაგოგებისათვის, ნორჩი თაობის აღზრდისათვის პარტიის ლენინური ზრუნვის ნათელი დადასტურება.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა, რომელსაც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, განსვლილი ხუთი წლის პოლიტიკური ანგარიში ჩააბარა; ამ ყრილობაზე განხილულ იქნა მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ამოცანები. რესპუბლიკური პარტიული ყრილობა იმ ღირსსახსოვარ ისტორიულ დღეებს დაემთხვა, როცა საქართველოს მშრომელები საბჭოურ სახალხო ხელისუფლების ლენინური იდეების სრული გამარჯვების პირობებში განიხილავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს სკკპ XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები“.

მე, როგორც პედაგოგს, არ შემეძლო ღრმა ანალიზი არ გამეკეთებინა ჩემი ცხოვრების ამ უდიდესი მოვლენისათვის. პარტია თავის ერთგულ თანაშემწედ თვლის პედაგოგს იმ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ უბანზე, რასაც ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდა, კომუნიზმის მომავალი მშენებელი მოქალაქის ჩამოყალიბება ჰქვია.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ მთელი სერიოზულობით ღასვა აღზრდისა და სწავლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები. ამ ამოცანის გადაწყვეტის მთავარ ფიგურას წარმოადგენს მასწავლებელი, რომლის იდეურ სიმწიფეზე, მეცნიერულ ცოდნაზე, პედაგოგიურ ოსტატობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობაზე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია სკოლის წინაშე დასახული პასუხსაგებ ამოცანათა შესრულება.

თვით ბრძენსაც ჰყოლია მასწავლებელი. მასწავლებლობა ყველაზე რთული და პასუხსაგები პროფესიაა.

საქართველოს კომპარტია შეუთვალა, ჰეშმარიტად ლენინურ ბრძოლას რომ ეწეოდა რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ეს უდიდეს ამოცანას აკისრებს მასწავლებელსაც. არა მარტო სწავლება, არამედ აგრეთვე აღზრდა და მომავლის მოქალაქის ჩამოყალიბებისათვის ოსტატური პედაგოგიური ბრძოლა გაკისრია დღეს ყველას, ვისაც გვაბარია ნორჩი თაობის ბედი.

აქ შეუდარებელია მაგალითის ძალა. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს კარგი აუტორიტეტი, ესთეტიკის თვალსაზრისითაც თავად მოწესრიგებული, კულტურული ჩვევებით აღჭურვილი, მისაბაძი უნდა იყოს ათმარტო სკოლაში, არამედ ყველგან და ყველაფერში.

ის, რომ მე ვარ მეუღლე, დედა, ბებია, უნდა ამშვენებდეს ჩემს პროფესიას — მასწავლებლობას. ჩემი მოსწავლეების მშობლები უნდა ხედავდნენ ამას და ჩემდამი პატივისცემით განეწყონ. მეუღლე დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სკკპ წევრია 1941 წლიდან, ინჟინერი; უფროსი ვაჟი კომუნისტი-ინჟინერია, ოჯახი აქვს, ორ შვილს ზრდის; უმცროსი ვაჟი სამედიცინო ინსტიტუტს ამთავრებს. ჩემს მასწავლებლობას ფასი მაშინ აქვს, როცა კარგი დედა ვარ. ჩემი დედობის გამოცდილებამ ბევრი რამ შეშლინა ჩემს მასწავლებლობას. იმ დასკვნამდე მივედი, რომ მოსწავლეებისადმი დიფერენცირებული მიდგომა და სწავლების კოლექტიური მეთოდის უფრო მასობრივად დანერგვა აუცილებელია წარმატებისათვის.

ჩემი საგანი — მშობლიური ენა და ლიტერატურა — ჩემს ხელში უნდა წარმოადგენდეს იარაღს ღირსეული მოქალაქის, სამშობლოს ღირსეული შვილის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის აღზრდისა. და მუდამ ვცდილობ, ეს ასეც იყოს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის ისტორიული გადაწყვეტილება საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობის შესახებ ჩვენი შთაგონების ახალ უშრეტი წყაროა.

მე ვგრძნობ, რომ ჩემგან მეტია საჭირო, რათა პედაგოგიური მუშაობა იმ დონეზე დავაყენო, რასაც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ინტერესები მოითხოვს. ჩემმა აღზრდილებმა საქმით უნდა შეძლონ იმის გაკეთება, რასაც მათგან მოითხოვენ პარტია, ხალხი.

კომუნიზმის მშენებლის აღზრდა, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება უდიდესი მოვალეობაა, იგი ჩვენგან მოითხოვს მთელ ძალებს, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეს.

მოსწავლეთა აღზრდაში პედაგოგის უპირველესი თანაშემწენი არიან სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები. მათთან ერთად მუშაობით ვაღწევთ ბავშვის წრთობას, ეუნერგიით რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში გარკვევის ჩვევებს.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა ნამდვილი სკოლა იყო ჩემთვის. მისი იდეები მუდამ მინათებენ გზას მთელ ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲚᲔᲥᲕᲐᲫᲔ,

თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატი.

ᲘᲛᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲛᲐ!



ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. **გლდანის დასახლება. საცხოვრებელი სახლები მეოთხე კვარტალში, რომლებიც საექსპლოატაციოდ შარშან გადაეცა.**

ა. ᲗᲐᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ეს უნდა ეოგვპარდეს

ფონდი ქალალდზე... ხელოვნური კილომეტრები

უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაზარდა მეშახტეთა ქალაქის — ტყიბულის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება. მარტო შარშან მუშათა მომარაგების განყოფილებას (უფროსი ... ჯიქია) ორი ახალი მაღაზია, სასადილო და სასურსათო საქონლის საწყობი შეემატა, დამთავრდა ორჯონიძის სახელობის შახტის მუშათა სასადილოს რეკონსტრუქცია. ხანგრძლივი ჩამორჩენის შემდეგ აღნიშნული საწყობიც ექსპლუატაციაში ჩაბარდა. მთლიანად შეასრულა საქონელბრუნვის 1976 წლის ვეგმა, წინა წელთან შედარებით საცალო ვაჭრობის მოცულობამ 4.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საზოგადოებრივი კვების ქსელის ბრუნვა 4.7 პროცენტით გადიდდა. ამაღლდა საკუთარი პროდუქციით ვაჭრობის მოცულობა, იმატა მოგებამ.

ეკაკეთდა თუ არა ყველაფერი საკეთებელი ქსელში არსებული რეზერვების ამოქმედებლად, მშრომელთა მომსახურებაში სახელმწიფო წესრიგის დამყარებლად, კიდევ რა პრობლემები მოითხოვს მოგვარებას?

ეკაჩრობისა და საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად ტყიბულში ... სავაჭრო ობიექტების გარკვეული ნაწილი ახლით შეიცვალა, მაგრამ ამ მხრივ რაც ვაკეთდა, მაინც ცოტაა. ... კიდევ სავაჭრო ობიექტების უმრავლესობა შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. მარტო ოქტომბრის ქუჩაზე ათამდე კეთილმოუწყობელი მარწყვნელო და სასურსათო მაღაზიას შეგიდგებით. მომსახურების / რა კულტურულ დონეზე შეიძლება ლაპარაკი № 17 და № 52 სასურსათო მაღაზიებში, რომელსაც არც საკმარისი ფართობი აქვთ და არც შესაფერისი სასაწყობო მეურნეობა.

ყოველწლიურად ქალაქში ახალი, თანამედროვეთ დონეზე აშენებული საცხოვრებელი სახლები შენდება, მაგრამ რატომღაც ამავე ფიქრობს იმაზე, რომ მათი ... სარეველი სართული სავაჭრო და საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტებს დაუთმონ. აი ასეთი ფაქტი: „ალასხურის გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშათა დასახლების უბანში ... სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენეს. მალე აქ 90 ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას. მაგრამ ისინი ... ოკლებული იქნებიან სავაჭრო და საზოგადოებრივი მომსახურებას. საქმე ... არის, რომ ასეთ შენობაში რატომღაც არავინ გაითვალისწინა მაღაზიის, ... ან რაიმე საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტის მოწყობა. აქვე ახლახან დაიწყეს კიდევ ორი ... სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მაგრამ პროექტით არც ერთ და არც მეორე სახლთან გათვალისწინებული არ არის სავაჭრო ობიექტები. ისიც უნდა ითქვას, რომ წინათ აღნიშნული მშენებარე სახლების ტერიტორიაზე ერთი სასურსათო და ორი სამრეწველო მაღაზია იყო. რატომღაც ისინი მშენებლობის დაწყებასთან დახურეს.

არც თუ დიდი ხნის წინათ მდინარ ... ტყიბულას მარჯვენა სანაპიროზე ... დამთავრდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასურსათო საწყობის მშენებლობა, მაგრამ იგი დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული, ნაწილად პროდუქტებისა სამრეწველო საქონლით არის გამოტენილი. დღის სინათლეზე ახალი, დიდი ტევადობის სამრეწველო საქონლის სასაწყობო მეურნეობის მშენებლობა დაიხვა, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას ... ერჯერობით საშველი არ დაადგა.

სამოთ საწარმოებში და მშენებლობებზე, მამაკაცების გვერდით ბევრი ... ლი დგას, რაც სავაჭრო ორგანიზაციებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქალებს შეუმსუბუქონ საოჯახო ... ტრომა. საჭიროა ჯერეოვანი ყურადღება მიექცეს ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე კულინარიული ნაწარმის გაფართოებას. ამ პროგრესულმა მეთოდმა ... ტომღაც ტყიბულში ფეხი ვერ მოიკიდა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ნახევარფაბრიკატების ნაწარმის სარეალიზაციო სპეციალური მაღაზიების ... ბილირე. ორად-ორი პატარა მაღაზია ... ბულებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ნახევარფაბრიკატების ... ღაზიები უნდა გაიხსნას ისეთი დიდი სამრეწველო საწარმოების გასასვლელებთან, როგორიც არის ლენინის, ... ტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტები, აგრეთვე ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, რათა ... ლის დამთავრების შემდეგ მუშას ... ესაძლებლობა ჰქონდეს შეუფერხებლად შეიძინოს ნახევარფაბრიკატები. ... ერთიანება „საქნახშირის“ კომბინატმა სამთო საწარმოთა ხელმძღვანელებს უნდა დაავალოს, რომ ამ პროგრესული მეთოდის დასანერგავად საჭირო ბინები შეარჩიონ.

შარშან მუშათა მომარაგების განყოფილებამ მთლიანად ვერ აითვისა ... ბლოგებისათვის მისაყიდად გამოყოფილი რძის ნაწარმი. ეს მაშინ, როცა ამ სახის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილებაა. ფონდის აუთვისებლობა გამოწვეულია მომწოდებელი ... ბის სიშორით, ცუდი გზით, ავტოტრანსპორტო საშუალებათა სიმცირით. გამოსავალი ერთია, უნდა დაჩქარდეს რძის საამქროს მშენებლობა. ... ც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ... ორ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო ამ საამქროს საექსპლოატაციოდ გადაცემას შარშან აპირებდა. თავიდან ყველა სამშენებლო სამუშაო ჩინებულად წარიმართა, მაგრამ მშენებლებმა აღებული ტემპი ვერ შეინარჩუნეს. განსაკუთრებით დაყოვნდა სამონტაჟო სამუშაოები. შექმნილი ბარიერები რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნას დაძლეული.

ურიგო არ იქნება, თუ რძის საამქროსთან მოეწყობა ნაყინის წარმოება. ამით თავიდან ავიცილებთ დიდძალ ზედნადებ ხარჯებს, რაც ამ მალფუჭადი პროდუქტის ქუთაისიდან შემოზიდვასთან არის დაკავშირებული.

ქალაქის მოსახლეობისათვის სამრეწველო საქონელსა და სურსათ-სანოვაგეს ძირითადად ქუთაისის ბაზებიდან ეზიდებიან. მათ ტრანსპორტირებაზე ყოველდღიურად დიდძალი სატვირთო ავტომანქანაა დასაქმებული. დიდდება გადაზიდვის ხარჯები, რაც მძიმე ტვირთად აწვება სავაჭრო ორგანიზაციებს. ამას ემატება ავტომანქანებით მომსახურებაში არსებული სხვადასხვა სიძნელეები, შეფერხებები. ყოველივე ეს ანძელებს გამოყოფილი ფონდების მთლიანად და დროულად ათვისებას. ამიტომ, როგორც აქაური ვაჭრობის დარგის მუშაკები ამბობენ, უმჯობესი იქნებოდა, თუ მომწოდებელი ბაზები საქონელს რკინიგზის ვაგონებით გამოუზავნიდნენ, ამით დაჩქარდებოდა ნაწარმის ტრანსპორტირება, შემცირდებოდა ზედნადები ხარჯები, მოიგებდა სახელმწიფო.

ამასთან დაკავშირებით გვინდა დავაყენოთ კიდევ ერთი საკითხი. ამ რამდენიმე წლის წინათ რკინიგზის ტყიბულის სადგურთან არსებობდა კონტეინერების ბაქანი, სადაც ხდებოდა მომმზარეულების მისამართით მოსული ყველა ტვირთის გადმოცლა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ რატომღაც ეს ბაქანი გაიუქმა. ახლა სადგურ ტყიბულის დანიშნულების კონტეინერის გადმოტვირთვას ქუთაისის საკონტეინერო სადგურში ახდენენ. ეს სადგური კი თავისი სპეციმანქანებით ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს კონტეინერების ტყიბულში შეზიდვას. რა თქმა უნდა, ამ ზარალობს ორგანიზაციაც და მომმზარეველიც. ბაქნის აღდგენის საკითხი, რომელიც ქალაქის სავაჭრო და ტექნიკური მომარაგების საწარმოებმა მრავალჯერ დასვეს, დადებითად გადაწყდეს ელოდეთ.

სამართლიანია მშრომელთა გულისწყრომა იმის გამო, რომ სასურსათო მაღაზიები რეგულარულად არ მარაგდება მაღალხარისხოვანი თევზის ნაწარმით, ხორცის კონსერვებით, მაკარონით, წყაროზეთრათი, ხილ-ბოსტნეულით და ზოგიერთი სხვა პროდუქტებით. დაგვაინტერესა გამოყოფილი სასურსათო ფონდების ათვისების მდგომარეობამ. სურათი სახარბიელო ვერ არის. ზოგჯერ საქმე კურიოზამდეც მიდის. გასულ შემოდგომაზე თერჯოლის რაიონის დამამზადებელ ორგანიზაციას, რომელიც ტყიბულიდან ოცი ოდე კილომეტრით არის დაშორებული, მეშახტეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 87 ტონა ხახვი უნდა მოეწოდებინა, ხოლო ვანის დამამზადებელ ორგანიზაციას — 45 ტონა. სეზონის დაწყებისთანავე მუშათა მომარაგების განყოფილებამ თავიანი ავტოტრანსპორტით დაიწყო ხახვის შემოზიდვა. მაგრამ ერთ დღეს ორივე მომწოდებელმა ორგანიზაციამ უარი თქვა დასაქონლებაზე. მათი დამზადებული ხახვი ავტომანქანებით ლილოს ბაზაში გაგზავნეს. ერთი სიტყვით, თვითეულმა ავტომანქანამ ლილოამდე და უკან გაირბინა 400 კილომეტრზე მეტი. ეს კიდევ არაფერი. ახლა, ზამთრის პირობებში, იგივე ავტომანქანები თერჯოლურ და ვანურ ხახვს ლილოდან ტყიბულში ეზიდებიან. ასე ესმის ზოგიერთ ხელმძღვანელს ლოზუნგი — „მინდორიმაღაზია“.

ქობულეთის დამამზადებელ ორგანიზაციას დაშვებული ფონდით ტყიბულის სავაჭრო ქსელისათვის უნდა მიეცა 80 ტონა ციტრუსების ნაყოფი. მუშათა მომარაგების განყოფილებამ ძლივს მოასწრო 20 ტონა მანდარინის შემოზიდვა და რეალიზაცია. დანარჩენ 60 ტონა მანდარინზე ქობულეთელებმა უარი თქვეს. როგორც ვხედავთ, ფონდი ქაღალდზე დარჩა, მეშახტეების სუფრას კი ციტრუსები აღარ ამშვენებდა.

ეს და სხვა ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ მეშახტეთა ქალაქის ისეთ ძირითად სავაჭრო ორგანიზაციას, როგორიც არის მუშათა მომარაგების განყოფილება, სერიოზული დახმარება სჭირდება.

ტყიბულელი მეშახტეები, რომლებიც მიწისქვეშა სანგრეკებში უმძიმეს შრომას ეწევიან, კარგი სავაჭრო მომსახურებისა და მეტი ყურადღების ღირსი არიან.

რ. ჯანელიძე,
ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და მომსახურების წესების დაცვის კონტროლის კომისიის თავმჯდომარე, საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“, ხაკ. კორეს-პონდენტი.

წერილი არ დაგეჭდილა, მაგრამ...

დამნაშავე მხილებულია

რედაქციაში შემოვიდა განცხადება, რომელიც ამხელდა ქალაქ ზუგდიდის თაობიერის ქარხანაში საზოგადოებრივი ... ელყოფის ფაქტებს. წერილი შესამოწმებლად და ზომების ... ლად გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის ... ყოფილებას.

განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაიორი ნარმანია გვატყობინებს, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. გატარებული ... ერატიული ღონისძიებების შედეგად ქ. ზუგდიდის თაობიერის ქარხნის მოტორიელს მძიმოლს ბიძინა მაჭახელაძეს-ძე აქოფარჭიას ბინაზე აღმოაჩინდა ფაიფურის ქარხნის მიერ დამზადებული სხვადასხვა ზომის 380 ცალი თეფში, აგრეთვე ქარხნიდან მოპარული სხვადასხვა აგრეგატის ელექტროძრავები.

ბ. აქოფარჭია სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის მიეცემოლია სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ის მალე წარსდგება მართლმსაჯულების წინაშე.

21 იანვარი

ინფორმაციის პაკეტი

საკადესი და უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

ფაქტები პრობლემები

დელი არჩევნებისათვის მზადება

დელი, (საკადესი). საგანგებო წესების შემდგომი შერბილება გამოაცხადა ინდოეთის მთავრობამ. ამ ნაბიჯის მიზანია უზრუნველყოს პირობები პარლამენტის სახალხო პალატის მარტის მომავალი არჩევნების ჩატარებისათვის. ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო მინისტრმა ე. ჩ. შუკლამ გამოაცხადა, რომ გაუქმებულია პრესის ცენზურა. შინაგან საქმეთა სამინისტროს შტატების მთავრობებს უფრო გაათავისუფლონ მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის დაპატიმრებულნი და უზრუნველყონ მიტინგებისა და კრებების გამართვის თავისუფლება. ამასთან პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ გააფრთხილა, რომ საგანგებო წესები შერბილებული იქნება არა იმდენად, რომ „დაბრუნდეს ქაოსისა და უდისციპლინობის ძველი დრო“.

ქვეყანაში სწრაფად მატულობს არჩევნებისწინა კამპანიის ტემპი. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები ამუშავებენ ტაქტიკასა და პროგრამებს, რომლებითაც ისინი არჩევნებში გამოვლენ.

მმართველი პარტიის სამუშაო კომიტეტმა გუშინ განიხილა ინდოეთის ეროვნული კონგრესის მანიფესტი, რომელიც უფრო მოგვიანებით გამოქვეყნდება. კალკუტიდან იუწყებიან, რომ დასავლეთ ბენგალიის შტატის კონგრესსტატი არ გამორიცხავენ არჩევნებში კომპარტიასთან თანამშრომლობის შესაძლებლობას.

მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებმა გადაწყვიტეს შექმნან ოთხი პარტიის — ორგანიზაცია კონგრესის, ბჰარატია ლოკ დალის, ბჰარატია ჯანა სანგჰისა და სოციალისტური პარტიის საარჩევნო ბლოკი ჯანატა პარტიის საერთო სახელწოდებით ერთიანი არჩევნებისწინა სიმბოლოთი და საერთო მანიფესტით.

ლუის კორვალანის ინტერვიუ

ლონდონი, (საკადესი). მთელ ძალ-ღონეს მოვახმარ პინოჩეტის ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლას, განაცხადა ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა ინგლისის სატელევიზიო კომპანიასთან მიცემულ ინტერვიუში.

ლ. კორვალანმა გადაჭრით დაგმო ჩილელი ფაშისტების დანაშაულებრივი საქმიანობა.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, თქვა შემდეგ ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, რომ პინოჩეტის დღეები დათვლილია. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ ეს ხვალვე მოხდება ან რომ მისი დამხობა ადვილი ამოცანა იქნება. მე მინდა ვთქვა, რომ მის მთავრობას უაღრესად დროებითი ხასიათი აქვს, რომ მან უკვე შეაძლია თავი ჩემი ქვეყნის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. დიქტატორული რეჟიმი დაემხობა მთელი მუშათა კლასის, მთელი დემოკრატიული ძალების ერთიანობის მეოხებით, ჩილელი ხალხის ბრძოლის შედეგად, ხაზი გაუსვა დასასრული ლ. კორვალანმა.

ამერიკის სენატში

ვაშინგტონი, (საკადესი). რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც ჯ. კარტერმა ოფიციალურად დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტი, სენატმა დაამტკიცა რვა კანდიდატი წამყვან პოსტებზე ახალ მთავრობაში.

ს. ვენსი დამტკიცებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნად, გ. ბროუნი — თავდაცვის მინისტრად, მ. ბლუმენტალი — ფინანსთა მინისტრად, ჰ. კრეპსი — ვაჭრობის მინისტრად.

ჯ. კალიფანოს დამტკიცება ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად, გ. ბელისა — იუსტიციის მინისტრად და რ. მარშალისა — შრომის მინისტრად ჯერჯერობით ყოვნდება იმ ბრძოლის გამო, რომელიც ამ დანიშვნების წინააღმდეგ გაჩაღებულ რესპუბლიკელთა ყველაზე კონსერვატიულმა წრეებმა კონგრესში.

საბჭოთა — „საფრა-77“



კუბის შაქრის ლერწმის პლანტაციებში დაიწყო მოსავლის აღება — „საფრა-77“. ერთმანეთის მიყოლებით ამოქმედდა შაქრისსახარში 147 ქარხანა. ბევრი მათგანი რეკონსტრუირებულია. მოდერნიზებულია მოწყობილობა, რაც განახორციელეს საბჭოთა სპეციალისტებმა საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

სურათზე: ხოსე მარტის სახელობის შაქრის ქარხანა პინარ-დელრიოს პროვინციაში.

სასოწარკვეთა

რატომ გაუიდეს ფვილი სლევინგსებმა

□

ნიუ-იორკი, (საკადესი). სენტ-ლუისში (მისურის შტატი) მოხდა შემთხვევა, რომელმაც სხვადასხვა სენსაციას შეჩვეული ამერიკელებიც კი გააოცა. 19 წლის ცოლქმარმა ჰენრი და რუბი სლევინგსებმა გაყიდეს... თავიანთი ექვსი წლის შვილი. ეს მათ აიძულა არა პირმშოს ბედისადმი გულგრილობამ ან რამდენიმე ასეული დოლარის მიღების სურვილმა, არამედ სასოწარკვეთამ.

სლევინგსები, რომლებიც მუდმივად ქალაქ კოკომოში (ინდიანის შტატი) ცხოვრობენ, სენტ-ლუისში ჩამოვიდნენ უკანასკნელი ფულით. რომელიც ავტობუსის ბილეთში გადაიხადეს. მაგრამ ამერიკის შუა დასავლეთის ამ დიდ ქალაქში მათ ოგვე ბედი ელოდათ, როგორც შინ, — სამუშაოს შოვნის არავითარი შანსი, მაშასადამე არსებობის საშუალებაც არსაით ელოდათ. ისინი შეუერგებდნენ თავიანთ გამოუვალ მდგომარეობას და გადაწყვეტეს ბავშვი მიინც გადაერჩინათ. იგი „შეძლებულ ოჯახში“ მოაწყვეს. გოგონას ფასი წმინდა სამბოლური იყო, 70 დოლარი.

იგი „იყიდეს“ პოლიციის აგენტებმა, რომლებმაც განაცხადეს შვილები არ გვყავს და ძალიან გვინდა მათი ყოლაო. სასოწარკვეთისა და მწუხარებისგან გულდაფთეთქული დედა გაიძახოდა: „არ მინდა ტანიას დაკარგვა, იგი ძალიან მიყვარს. თუ შეიძლება, ცუდად არ მოექცეთ მას“.

ამ ამბის დასასრული ნაკლებად სავალალო როდია. „კანონიერებისა და წესრიგის „დამცველებმა“ ტანია გაგზავნეს უპატრონოთა თავშესაფარში. მის მშობლებს ელით სასამართლო „საკუთარი შვილის თავიდან მოცილების უკანონო ცდისათვის“.

ვითარება ეგვიპტეში

კაირო, (საკადესი). ორი დღის სახალხო მღელვარების შემდეგ დაძაბული ვითარება ეგვიპტეში რამდენადმე შენელდა. ქალაქ მოქმედებს კომენდანტის საათი. ქალაქის მოედნებზე, ნილოსის ხიდებისა და მთავრობის დაწესებულებათა მახლობლად ისევ დგანან ჯავშნოსანი მანქანები.

ოფიციალურმა წრეებმა, რომლებიც ცდილობენ ჩამოაშორონ ყურადღება ხალხის მღელვარების გამომწვევ ნამდვილ მიზეზებს, მოიგონეს ვერსია, თითქოს არსებობდეს რაღაც „კომუნისტური შეთქმულება“ და ეიღაცა „კაიროს დაწვას“ აპირებდეს.

საერთაშორისო ფენომენები

პრობლემების მორევში

საით მიჰყავთ სიონისტურ მმართველ წრეებს ისრაელი

როცა სიონიზმის იდეოლოგები „ისრაელის შვილებს“ მოუწოდებდნენ, რომ ისინი „აღთქმულ მიწაზე“ დაბრუნებულიყვნენ, ჰპირდებოდნენ, დაეთის ვარსკვლავის ქვეშ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ და ჰუმანურ სახელმწიფოს შეეკმნითო. „როგორ ქვეყანას შეექმნით? — ეჩურჩულებოდნენ ხალხს ექნება დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო, და ჩვენ იქ ვიცხოვრებთ ისე, როგორ ცხოვრებაზეც ვოცნებობდით. ვერავინ ვერ გვიკარნახებს, როგორ ვიცხოვროთ, საკუთარ თავს ჩვენვე ვუკარნახებთ. ვუკარნახებთ და შევასრულებთ კიდეც, — წერდა გაზეთი „შივ ა იამიმი“. — ჩვენ ვოცნებობდით, ვიმედოვნებდით, ვეცწრაფოდით“.

შარშან კი ისრაელის ფინანსთა მინისტრი ეფრაიმ რაბინოვიჩი, თანამემამულეებს ქამრის მაგრად შემოჭერას რომ ურჩევდა, აცხადებდა: „ჩვენ ეახორციელებთ წონასწორობის პოლიტიკას ეკონომიური კატასტროფის ზღვაზე. ჩვენ სხვა არჩევანი არა გვაქვს... კოლოსალური სავაჭრო დეფიციტი და უშიშროების უზრუნველსაყოფად დახარჯული უზარმაზარი თანხები (სამხედრო სარჯები) გვაიძულებს გავაკეთოთ ის, რასაც ჩვეულებრივ პირობებში არ ვიმოქმედებდით“. ისრაელის არსებობის 29 წლის მანძილზე სიონისტურმა მმართველებმა ვერ შეძლეს იმ „ნორმალური პირობების“ შექმნა, რასაც სიონიზმის მამები „აღთქმული მიწის“ პირველმოსახლეებს პპირდებოდნენ.

ოფიციალური წარმომადგენლები იძულებული არიან აღიარონ, რომ დღეს ისრაელი ეროვნული კრახის პირას არის მისული.

მთავრობაში, კნესეტში, სამინისტროებში, არმიაში, შრომის ბირჟებზე და სინაღოგებშიც კი პირქუში განწყობილება სუფევს. ქვეყნის საგარეო ვალმა 4 მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო სამინამ — 12 მილიარდს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვალების ოდენობამ წლიური ეროვნული პროდუქტის ღირებულებას გადააჭარბა, მაშინ შექმნილ მდგომარეობას სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა გაკოტრებას. უცხოთის კაპიტალზე დამოკიდებულება ისრაელური გირვანქის გაუფასურებას და ინფლაციის ზრდას იწვევს, რომელმაც ახლა 35 პროცენტს მიაღწია. მარტო შარშან ისრაელური ფულის ერთეული 14-ჯერ იქნა დევალვირებული. მთავრობას თითქმის ყოველ სხდომაზე ფინანსთა მინისტრი განგაშს ტეხს, ხაზინაში ფული არ არის, იგი სესხის პროცენტის გადასახდელადაც კი არ არის საკმარისი. და მთავრობაც, ვინ უწყის, უკვე მერამდენჯერ ადიდებს გადასახადებს. რახან სიტყვამ მოიტანა, გადასახადებზე უნდა ვთქვათ, რომ ისრაელში ისინი შემოსავლის 40 პროცენტს შეადგენს და მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ფული კი მაინც საკმარისი არ არის. საკმარისი არ არის იმიტომ, რომ ბიუჯეტის 40 პრცენტი სამხედრო საჭიროებისათვის იხარჯება, მოლიანი ეროვნული პროდუქტის 35 პროცენტს სამხედრო მანქანა ნთქავს. მილიტარიზაცია მუსრს ავლებს ეკონომიკას, მაგრამ არმიისათვის ფულს არ იშურებენ.

სამხედრო წრეები, მთავრობა და ოფიციალური პროპაგანდა ყოველ ცისმარე დღეს უნიჩინებენ ისრაელებს: ჩვენ უნდა შევიარაღდეთ, ჩვენ უნდა ვიომოთ (და არა თავი დავიცავთ — ვ. ჰ.), რათა ვიარსებოთ. ამიტომ ქამარი მაგრად შემოიჭირეთ“.

1976 წელს პირველი მოთხოვნილების ხაჭონლის ფასები 50 პროცენტზე მეტით გაიზარდა, ხოლო ხელფასის დონე 3 პროცენტით დაეცა, უმუშევრობა 3,2 პროცენტიდან 5 პროცენტამდე გაიზარდა. ეს ციფრები თვით კნესეტის დეპუტატებსა და სამინისტროების მოხელეებს მოჰყავთ. მაგრამ თვითეული პროცენტის მიღმა ხომ სავსებით კონკრეტული ადამიანები დგანან. მუშათა და მოსამსახურეთა ნახევარზე მეტს ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი აქვს. ისრაელი ბავშვების ერთი მეოთხეული სისტემატურად შიმშილობს, 25 ათასი ბავშვი სკოლაში ვერ დადის.

შარშან შემოდგომაზე გაფიცვებმა მთელი ქვეყანა მოიცვა. „გაიყინნ“ ჰაიფისა და ეილათის პორტალური ამწეები, არ მუშაობდა ლოდის საერთაშორისო აეროპორტი. ტელ-ავივში, საავადმყოფოები არ იღებდნენ ავადმყოფებს სამედიცინო პერსონალის გაფიცვის გამო, არ მუშაობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ბევრი სამინისტრო, მენაგვეებიც კი გაიფიცნენ.

„ისრაელი ახლა იმ სახლს ჰგავს, — წერდა ამ დღეებში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ — რომლის მცხოვრებები ერთმანეთთან დავობენ და რომლის სახურავშიც წყალი ჩამოდის“. ამდენად გასაკვირი არ არის, რომ ამ სახლის სულ უფრო მეტი მცხოვრები ცდილობს მის მიტოვებას. უკანასკნელ ორ წელიწადში ისრაელიდან მომავალთა რიცხვი აღემატება იმიგრანტებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნიდან წასვლა არც ისე იოლია — აუცილებლად უნდა გქონდეს ფული, სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების ცნობა და ბევრი სხვა რამ. ისრაელის 330 ათასი მცხოვრები, ე. ი. მთელი მოსახლეობის 10 პროცენტი სამუდამოდ გამოეთხოვა „აღთქმულ მიწას“.

მთავრობა ცდილობს როგორმე ამოქოლოს მრავალრიცხოვანი „ხვრელი“, მაგრამ მათი რიცხვი საკმაოდ ბევრია. ფართოვდება არაბი ხალხის ბრძოლა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ნაზარეთში, ნაბლუსში, იერუსალიმში მომხდარმა გამოსვლებმა ცხადყო, რომ სახალხო გამოსვლებს ვერც რეპრესიები შეაკავებს და ვერც ტერორი. არაბული სახელმწიფოები, რომელთა მიწებსაც ისრაელი აგრესორები დაეპატრონენ, დაეინტერესებინ მოითხოვენ ოკუპირებული ტერიტორიების უკან დაბრუნებას. მათ კანონიერ მოთხოვნას მხარს უჭერენ მსოფლიოს მეტი წილი ქვეყნები. ისრაელის ალიანსი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმთან და ნატოს ზოგ ქვეყანასთან აღრმავებს მის საერთაშორისო იზოლაციას. სიონისტური სახელმწიფოს ბევრი ყოფილი მფარველი სულ უფრო მეტად უფიქრდება იმას, რომ ერთობ ძვირი ხომ არ ჯდება მფარველობა, რომელსაც არავითარი დივიდენდები არ მოაქვს. ამას, კერძოდ, ყურადღება მიაქციეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ნავთობზე ემბარგოს შემოღების შემდეგ, რაც არაბულმა ქვეყნებმა არაბეთ-ისრაელის 1973 წლის ომის შედეგად განახორციელეს.

პრობლემები, პრობლემები დიდი და მცირე, საშინაო და საგარეო, პოლიტიკური და ეკონომიური. ისინი საკმაოდ ბევრი ბევრადა ისრაელში. და ამ სახელმწიფოს 29 წლის არსებობის გამოცდილება ადასტურებს, რომ სიონისტურ მმართველ ზედაფენას არ ძალუძს მათი გადაჭრა.

ვ. პარუზინი.
ახალი ამბების საააგენტოს მიმომხილველი.

საქართველოს ჟურნალისტთა ფიდი კოლეგიუმი

მეტი ძიება, ქმედითობა

ახალგაზრდა ჟურნალისტთა მეხუთე ყრილობაზე

□

ბათუმი. გაიმართა აჭარის ჟურნალისტთა მორიგი ყრილობა. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების პიროსის თავმჯდომარე, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი შ. ქურციძე, ხოლო სარევიზიო კომისიის მოხსენებით — მისი თავმჯდომარე, საოლქო გაზეთების გამომცემლობის განყოფილების გამგე მ. ორუთინოვი.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა: გაზეთ „სოვეტსკაია აჯარიას“ რედაქტორმა ვ. მარღანიძემ, ქობულეთის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილემ ო. კოტეკელიძემ, ხულოს რაიონული გაზეთის რედაქტორმა ი. აბულაძემ, ხელვაჩაურის რაიონის ურეხის კულტურნეობის მოწინავე მეჩაიემ, სოფლკორმა შ. ბერიძემ და სხვებმა ილაპარაკეს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც პრესის მუშაკებს აკისრიათ სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებს, აჭარის საოლქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში. პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ბევრი მასალა ცუდად როდი აშუქებს ხუთწლედის დასახულ პრობლემებს, გვიჩვენებს ჩვენი ეკონომიკის დიდ რეზერვებს, ასწავლის მასებს მუშაობის ეფექტიანობის, ხარისხის ამაღლების გზებს, ხელს უწყობს მათი სულიერი და პოლიტიკური აქტივობის ზრდას.

ამასთანავე ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის საქმიანობაში არის ნაკლოვანებანი. თავიდათავია კადრების პრობლემა. რედაქციებს აკლიათ კვალიფიციური მუშაკები, სამწუხაროდ არასისტემატური და ნაკლებეფექტურია რაიონული და საქალაქო გაზეთების მუშაკთა სწავლება. გამოცდილება მოწმობს, რომ რესპუბლიკურ გაზეთების მუშაკთა მივლინებას რაიონული გაზეთების რედაქციებში პრაქტიკული დახმარების მიზნით გარკვეული სარგებლობა მოაქვს, მაგრამ ასეთ პრაქტიკას რატომღაც ნაკლებად იყენებენ. საჭიროა აგრეთვე რაიონული გაზეთების რედაქციების მუშაკთა უფრო ხშირად მივლინება რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებში სტაჟირებისათვის.

ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ეშვიათად ებეჭდება რაიონული გაზეთების მიმოხილვები, პრაქტიკული და მეთოდური ხასიათის წერილები.

დელეგატებმა საყვედური გამოთქვეს პოლიგრაფიული ბაზის სუსტების გამო, არასაკმარისია სასაათური შრიფტები, რაიონული გაზეთების რედაქციებს უჭირთ ფლიზელინის დამზადება, ამიტომ ხშირად იყენებენ ძველ ფლიშებს.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ ხოლქო და რაიონული პრესა უფრო აქტიურად უნდა შეეჭრას ცხოვრებაში, კვალიფიციურად გაშუქოს კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანები, მკაფიოდ უჩვენოს ჩვენი დღეების გმირის ნამდვილი სახე.

ყრილობაზე გამოთქვა კრიტიკული შენიშვნები საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამეფოს ... ... ნოს მისამართით. იგი ზოგჯერ აჭიანურებს პირველადი და საოლქო ორგანიზაციების მიერ კავშირის წინაშე დაყენებული საკითხების განხილვას და ნაკლებად იგრძნობა ჟურნალისტთა პირველადი ორგანიზაციებისადმი დახმარება.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჭიდლიშვილი.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ჟურნალისტთა ყრილობას მიესალმა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე. მან ალაპარაკა აჭარის ჟურნალისტთა უანგლოს საბრძოლო ამოცანებზე.

ყრილობაზე აირჩიეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის ბიუროს, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს ჟურნალისტთა V

ინფორმაცია

დიდი დაფასება

ქართველმა მეცნიერმა მადლობის გარათი მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან

„...სიამოვნებით გიგზავნით ამავე წინათ გამოსული გამოცემის „განვითარებადს ქვეყნებში წყალდიდობით გამოწვეული ზარალის თავიდან აცილების და რეგულირების სახელმძღვანელოს“ პირს. ამ გამოცემის მოსამზადებაში თქვენი დახმარება დიდად დაგაფასა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბუნებრივი რესურსების, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის ცენტრმა. ვსარგებლობ შემთხვევით, და მადლობას გიძღვნით თანამშრომლობისათვის.

ა. ალეგაპანი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბუნებრივი რესურსების, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის ცენტრის დირექტორის მოადგილე, წყლის რესურსების განყოფილების გამგე“.

ეს წერილი მოუვიდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ც. მირცხულავას — თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წყალდიდობით გამოწვეული ზარალის თავიდან აცილების ექსპერტთა სპეციალური ჯგუფის წევრს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოვრცობამორისო ორგანიზაციის ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომისიის წარმომადგენელს.

ამ „სახელმძღვანელოს“ წინასიტყვაობაში, რომელიც ქართველი მეცნიერის მონაწილეობით არის შედგენილი, აღნიშნულია, რომ მრავალრიცხოვან პრობლემებს შორის, რომლებიც განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია წყალდიდობით გამოწვეული ზარალის შემცირების საშუალებათა გამოძებნა. მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამ სტიქიური უბედურების შედეგად ყოველწლიურად იღუპება ათასობით ადამიანი, ისპობა ათ მილიონზე მეტი აკრი ნათესები. „სახელმძღვანელოში“ მოცემული რეკომენდაციები, რომლებსაც წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის საერთაშორისო გამოცდილება უდევს საფუძვლად, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს განვითარებადი ქვეყნების სპეციალისტებს.

ქართველ მეცნიერს ბევრი ქვეყნიდან სწერენ წერილებს მსოფლიოს თვალსაჩინო სპეციალისტები, ჰიდროტექნიკისა და წყლის პრობლემების ეროვნული სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელები (საქინფორმი).

სახალხო უნივერსიტეტი

ონი. აქ შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების შემსწავლელი სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც ასზე მეტი მსმენელია გაერთიანებული. უნივერსიტეტს აქვს მეცხოველეობის, მემცენარეობის, მექანიზაციის და სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტები. სწავლება ორწლიანია.

სახალხო უნივერსიტეტის რექტორია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. მეტრეველი. პროორექტორად დამტკიცებული არიან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი გ. ჭელიძე და პარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივანი გ. ლობჟანიძე. უნივერსიტეტთან შექმნილია სამეცნიერო-მეთოდური საბჭო.

მსმენელებმა უკვე მოისმინეს დოცენტების ვ. ჭიპაშვილის, ე. რამიშვილისა და შ. ჭელიძის ლექციები.

ნ. დუშუაშვილი.

ჯილდოდ — ავტომანქანა

ქობულეთი. (საკ. კორ.). ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის აგრონომმა რამაზ ციფლაძემ მოსკოვიდან სასახელო ცნობა მიიღო, იგი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მონაწილეობისა და შრომაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია ავტომანქანა „ლადა“.

ლატარიით — „ლადა“

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ოსეთ გრიგოლის-ძე რატიშვილმა ოქტომბრის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარმოადგინა საახალწლო ლატარიის ბილეთი — სერია 38781, № 114, რომელსაც ხვდა დიდი მოგება — ავტომანქანა „ლადა“.

თ. დრეიძე.

ამინდი

დღეს აფხაზეთსა და აჭარაში ზოგან მცირე ნალექია მოსალოდნელი, ტემპერატურა 3-5 გრადუსი სითბო, ელოხეთის დაბლობზე უმეტესად მშრალი ამინდი იქნება, იქროლებს აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა 3-8 გრადუსი სითბო იქნება.

სამხრეთ ოსეთში მცირე თოვა მოსალოდნელი, ტემპერატურა ნული — ოთხი გრადუსი ყინვა, ბორჯომის ხეობაში მცირე თოვა და სუსტი ქარია მოსალოდნელი, ტემპერატურა 1-4 გრადუსი ყინვა, ქართლსა და კახეთში მცირე თოვა იქნება, გზები მოიყინება, ტემპერატურა — ნული-ოთხი გრადუსი ყინვა. შირაქისა და ელდარის ზამთრის საძოვრებზე მოსალოდნელია თოვა, ნისლი. ტემპერატურა — 3-5 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია მცირე თოვა, ნისლი. ტემპერატურა — ნულის ფარგლებში.

ესპანეთი, რიტმები, მელოდიები

მოლდავეთის სსრ. რესპუბლიკის დედაქალაქის ორ ათასზე მეტი მცხოვრები სამუშაო დღის შემდეგ კიშინიოვის პროფკავშირთა კულტურის სასახლის სხვადასხვა წრეებში მეცადინეობს. **სურათზე:** (ზემოთ მარცხნივ): ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „ჩოკირლიას“ გამოსვლა.

მოსკოვი. მეორე სეზონია, რაც დიდი თეატრის სცენაზე გამოდის ნადეჟდა პავლოვა. ახლახან მისმა დებიუტმა მინკუსის ბალეტ „დონ-კიხოტში“ დიდი წარმატებით ჩაიარა. **სურათზე:** (ქვემოთ მარცხნივ): ცეკვავენ ნ. პავლოვა და ვ. გორდეევი.

მოსკოვი: „ვენსერემოსი“ (ჩვენ გავიმარჯვებთ) — ასე ერქვა ჩილური სიმღერების კონცერტს, რომელიც ხალხმწიფო ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ ანსამბლები „ინტი-ილიმანი“, „ლოს-პარა“ და „ლაუტაროს“ ახალგაზრდული კოლექტივი. **სურათებზე:** (მარჯვნივ ზემოთ): იზაბელ პარა და პორაციო დიურანი ასრულებენ ჩილურ ხალხურ ცეკვას; (ქვემოთ) — ანსამბლ „ინტი-ილიმანის“ მონაწილეები.

კულტურის ძეგლებს — საყოველთაო ზრუნვა

ქვათა საუბარი

უცნობი ეპიგრაფიკული წარწერები

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეპიგრაფიკულ ძეგლებს საქართველოს ისტორიის შესწავლისა საკითხების გარკვევის საქმეში. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ქვის წარწერების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის მიკვლეული.

ჩვენში წარწერები შემოხატულია ტაძართა ნაგებენებზე, ნაკეთლსაარ, ციხე-სიმაგრეთა ნაჩჩებებზე, ძველ სასაფლაოებზე, ბიბლიურად, სათიბებში და ტყეებში.

ამას წინათ ამბროლაურიდან იურისტ ალექსანდრე წულუკიძისაგან საყურადღებო ცნობა მივიღეთ. ის გვწერდა, სოფელ ახალსოფელში ძველთაგან არსებულ სასაფლაოზე ხავსში გაჩეკილი, ნაბეკრად მიწაში ჩაფლული მომრგვალო ქვა ვიპოვნე, რომელსაც წარწერა და წნული ორნამენტი აქვსო. ჩვენ მაშინვე ვთხოვეთ მას ქვის მიწიდან ამოღება, გაწმენდა, ფოტოსურათისა და ასლის გადაღება. ამ მხრივ დიდი მონდომება და გულისყური გამოიჩინა ალ. წულუკიძის ოჯახმაც—მისმა უფროსმა ვაჟმა, ეკიმმა ივანე წულუკიძემ ქვა მიწიდან ამოიღო, გაწმენდა და ეკლესიაში გადმოხატა ქვაზე არსებული ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, ხოლო წარწერის ასლი უმცროსმა ვაჟმა ზურაბმა მურით ქაღალდზე გადაიღო. ეს მასალები მივიღეთ თუ არა, ვაჩვენეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს, რომელმაც წარწერის თარიღად XIII საუკუნის ბოლო ივარაუდა.

ვინიდან ამბროლაურიდან გამოგზავნილი წარწერის ყველა სტრიქონი ძნელად იკითხებოდა, საჭიროდ მივიჩნიეთ იგი ადგილზე წაგვეკითხა, და ამბროლაურში გავემგზავრეთ.

აშკარა იყო, რომ მიკვლეული ქვა, ქვით ნაშენი დიდი ტაძრის დიტალს წარმოადგენდა, სახელდობრ, სვეტისთავს, მასზე ამოკვეთილია ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომლის შესწავლამ დაადასტურა აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის ვარაუდი, რომ იგი XIII საუკუნეს მიეკუთვნება. როგორც წარწერიდან ჩანს, ამ ადგილას XIII საუკუნეში მაცხოვრის ტაძარი ყოფილა აგებული, რომელიც ერთ დროს, გაურკვეველი მიზეზთა დანგრეულა და მის ადგილას აუშენებიათ ხის ჩუქურთმებით შემკული ასეევ მაცხოვრის სახელობის პატარა ეკლესია. ეს ქვა მის საკურთხეველში ყოფილა მოთავსებული, როგორც რელიქვია, და როგორც მაცხოვრისადმი შეწირულების მიმღები სალოცავი. ამის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ადრე 94 წლის ადგილობრივმა მკვიდრმა ეკატერინე ჭელიძემ გადმოგვცა, რომელსაც კარგად ახსოვდა ხის ეკლესიის დანგრევაც 1916 წელს. ამჟამად ამ ადგილას არავითარი შენობის კვალი არ მოიპოვება. წარწერიანი ქვა ობლად დაეს სასაფლაოს ამაღლებულ ადგილზე და ვინაიდან მას ხავსის სეთარ და მიწის ბუდე მოშორებული აქვს, საჭიროა მისი რაიონის კულტურის სახლში გადატანა.

იმავე სოფელში, ხალხის შესაკრებ მოედნის ნაპირას, სადაც მიხმოესელელთა ობელისკია აგებული, გვიჩვენეს ხეზე დაკიდებული სპილენძის ლამაზი ზარი, რომლის სიმაღლე 36, ხოლო დიამეტრი 31 სანტიმეტრია. მისი ქვედა ნაწილი გარშემოწერილია ბეჭდრული. „ქ. შემოაწერე გლახუა ფანჯიკიძემ ჩემის სახსოვრად და საოლიცადად მაცხოვრის ეკლესიას ახალსოფელს აპრილის პირველს წელს ჩყლდ“. ზარი გაბზარულია, იგი ისტორიული მხიზვნელობისაა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი დაცვა და ამბროლაურის კულტურის სახლში წარწერიან ქვასთან ერთად მოთავსება.

მაშასადამე, ამ ადგილის დასახლება და ტაძრის აშენება გაცილებით ადრე მომხდარა და ამითვითვე მას ახალსოფელი ეწოდა, ვიდრე საქართველოს ისტორიაში ცნობილი ეკლესიათა მამენებელი მერან წულუკიძე დასახლდებოდა აქ. მას მოიხსენიებს ამბროლაურის რაიონის ს. აგარის (ნიკორწმინდის ახლოს) ქვით ნაშენი ეკლესიის ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთის ნაწილზე ამოკვეთილ გადაშლილი ისტორიული ფრესკების წარწერა „მაცხოვარო ხოტევისო, აღვაშენე მე წულუკიძემან მერან და თანამეცხედრემან ჩვენმა ჩიჭავაძის ქალმან ანამ ეკლესია ესე და შევამკე ხატითა, ჯვრითა და წიგნებითა, ქორონიკონს ტოვ.“ — ე. ი. 1688 წელს. სავარაუდოა, რომ მერან წულუკიძემ ახალსოფელში გადმოსახლებისას ააგო ხის ეკლესია, რომელშიც ეს ქვა ინახებოდა.

ჩვენი ძიება ამით არ შემოფარგლულა. ს. გორში ვნახეთ და წავიკითხეთ ასომთავრული წარწერა, რომელიც XI საუკუნეს ეკუთვნის. წარწერიანი ქვა წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის კედელშია მოქცეული ორნახევარი მეტრის სიმაღლეზე.

ს. ხიმშში პატარა ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „ქრისტე, მეოთხეო ციალ და ქვეყანისაო და წმიდაო გორგი გორისაო და წმიდაო თევდორე შეიწყალეთ ქვიროკეა და თევდორე სულითა და ხორცითა ორსავე ცხორებასა“, ორივე ეპიგრაფიკული ძეგლი ისტორიოგრაფიისათვის უცნობია, ისინი XI საუკუნის იმ ფერფას წარწერათა ფონდს ემატება, რომელიც შეკრებილი, დაცული და შესწავლილია ჩვენს მეცნიერებაში.

ამ წერილს ის დანიშნულებაც აქვს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთ მოუწოდოს, ყურადღება გამახვილონ ქვებზე არსებულ წარწერებზე, დაიცვან ისინი, აცნობონ სათანადო დაწესებულებებს და ამით თავიანთი სამამული შეიტანონ ჩვენი მდიდარი წარსულის შესწავლის საქმეში.

ს. ჭიჭინაძე,
ვ. სილოგავა.



სურათზე: ს. ხიმშის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერა (XI ს.).

ჯილდო — მ. მესხს

გუშინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში შეიკრიბნენ სპორტის მოყვარულები, ფეხბურთის ვეტერანები, ჟურნალისტები, რომლებიც მოვიდნენ აქ სახელოვან ქართველ ფეხბურთელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ მიხეილ მესხთან შეხვედრაზე.

კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. პეტენავამ ფეხბურთში დიდი დამსახურებისა და პოპულარიზაციისათვის, ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების მომზადების საქმეში წარმატებებისათვის, დაბადების მე-40 ან სპორტში მოღვაწეობის 25-ე წლისთავის გამო ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლის „ავიზის“ დირექტორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მ. მესხს ბრძანებით მადლობა გამოუცხადა და ფასიანი საჩუქარი გადასცა.

მოკლედ

მძლეოსნობა. უკრაინის რეკორდი სიგრძეზე ხტომაში და სეზონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგი — 6 მეტრი და 67 სანტიმეტრი აჩვენა ტატიანა სკარკომ (ვოროშილოვგრადი), რომელიც დონეცკის დახურულ დარბაზში გამოდიოდა.

ჩოგბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონმა თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა ვერ შეძლო ამერიკის ქალაქ ტოუსონის გადახურულ კორტებზე მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში გასვლა. „მარათონულ“ მატჩში, რომელიც ორნახევარ საათს გრძელდებოდა, მან წააგო ავსტრალიელ როს კეისთან — 7:6, 4:6, 7:6.

„სპორტლოტო“

მოგვაქვს 19 იანვარს გამართული ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი გამოცნობილია ერთ ბარათში, მოგების თანხაა 5.000 მანეთი; იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 1.534 (131 ბარათი); ოთხი ნომერი — 52 მანეთი (4.945); სამი — 3 მანეთი (73.825).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; იმათთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 3.235 მანეთი (28 ბარათი); ოთხი — 49 მანეთი (2.090); სამი — 3 მანეთი (36.313).

ძალათბურთი

გამარჯვება დამატებით დროში

რიგა, (საკ. ფოსტ.). „წმინდა“ საათამშო დროის — ორმოცდაოთხი წუთის მანძილზე გაგრძელდა რიგის არმიის სპორტული კლუბისა და თბილისის „დინამოს“ ალათბურთელთა მატჩი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე. დამატებით ხუთ წუთში სტუმრებმა გაიმარჯვეს — 106:97.

პირველი ტაიმი დამთავრდა რიგელთა უპირატესობით — 47:45. ისინი ფინალურ სასტვენამდე ჯერ კიდევ 30 წამით ადრე იყენენ წინ და ფლობდნენ ბურთს. მაგრამ დინამოელებმა ხელი იგდეს იგი და მატჩის საუკეთესო სნაიპერმა ნ. დერიუგინმა საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 90:90. ახალგაზრდა ბომბარდირმა 31 ქულა შეაგროვა.

არმიელთა შემადგენლობაში ყველაზე შეიჯიანად თამაშობდნენ ვ. გავრიში — 25 და რ. გრობინში — 23 ქულა. მოედნიდან გაძევების დინამოელთა ცენტრის მოთამაშე ი. პულავსკი.

* * *

ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელებმა თავის მოედანზე დაამარცხეს ტარტუს „კალევი“ — 105:82 (59:38), ხოლო ლვოვიფოსტოქში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ დამატებით დროში წაიგო კიევის „სტროიტელთან“ — 87:95 (79:79, 44:39).

რიბაში ტატ-ს ქალთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში მოუგო ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ — 82:47 (38:24).

ცსკა-ს ვაჟთა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ ტურნირში მესამე ვამარჯვება მოიპოვა — ბრნოში ანგარიშით 99:81 (53:44) დაამარცხა „ზბროიოვკას“ კლუბი.

საშშრში დამთავრდა რესპუბლიკის ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული აღმოსავლეთის ზონის გუნდების შეჯიბრება. ასპარეზობაში გამოდიოდა გორგონათა 8 და ჭაბუკთა 14 გუნდი. ორივე ტურნირი ხაშურელ კალათბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა — ფინალში გოგონებმა მოუგეს ბარდანის გუნდს — 36:16, ხოლო ვაჟებმა — თელაველებს — 75:50. დასავლეთი ზონის გუნდები ერთმანეთს წულუკიძეში ეჯიბრებოდნენ. ფინალში როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის გავიდნენ მახპინძლები და სამტრედიელები. გოგონებში იმარჯვეს სამტრედიელებმა, ჭაბუკებში — წულუკიძელებმა. ზონებში გამარჯვებული 4 გუნდი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ ტურნირში, რომელიც თებერვლის დამდეგს გაიმართება ბათუმში.

რედაქტორი
დ. მეჯლიშვილი.

პირველი პროგრამა

24 იანვარი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „აშკარა — დაუჯერებელი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია,
17.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი. დოკუმენტური ფილმი — „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“,
18.20 — განცხადებები,
18.25 — მოსწავლეთათვის — კონცერტი,
18.55 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.15 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — კინოვიქტორინა — „რეგოლუცია და ეკრანი“,
21.20 — „ჩვენი გადაცემების ყველაკვალ“ — „პური ჩვენი არსობისა“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ტურნირი მინი-ფეხბურთში. „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი). ვიდეოჩანაწერი.

25 იანვარი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის ქართული ენა,
17.50 — ნახატი ფილმი,
18.15 — განცხადებები,
18.20 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა,
18.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „წარმატებლობა თუ წარმატება“ (ქართული ენაზე),
19.10 — „სოფელი, რომელზეც წერდა ლენინი“ — საკრიალა,
19.35 — „სპორტული მიმოხილვა“,
20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — თოჯინური ფილმი — „შეჯიბრი“. ფერადი გამოსახულებით,
20.45 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი — „დასტაქარ მიშკინის დღეები“. პირველი სერია. პრემიერა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ჰელსინკიდან).

26 იანვარი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — მეშვიდეკლასელთათვის — ფიზიკა,
11.00 — მხატვრული ფილმი — „ამბავი მზეჭაბუკ ფინისტისა“. ფერადი გამოსახულებით,
12.15 — „კინომგზაურთა კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა,
17.50 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი. დოკუმენტური ფილმი „რეპეტიციაზე“,
18.10 — განცხადებები,
18.15 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა,
18.45 — მოსწავლეთათვის — „მეგობრობის მერიდიანზე“,
19.05 — „ადამიანი და გარემო“,
19.30 — მომსახურების სფერო და სოციალისტური — სატელევიზიო ჟურნალი,
20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.55 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „დასტაქარ მშვიკინის დღეები“. მეორე სერია. პრემიერა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ჰელსინკიდან).

27 იანვარი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „ბოგატინოს გამოფენა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — დოკუმენტური ფილმი — „მოზაბრდი“,
12.05 — „ჩვენი ბიოგრაფია“ — „1928 წელი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.55 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა,
17.40 — დოკუმენტური ფილმი „დიდი საზრუნავი“ (ქართულ ენაზე),
17.50 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა,
18.20 — განცხადებები,
18.25 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“,
19.00 — განცხადებები,
19.05 — „ბუნების კარი“. ფერადი გამოსახულებით,
19.45 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი — „დასტაქარ მშვიკინის დღეები“. მესამე სერია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ჰელსინკიდან).

28 იანვარი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — მხატვრული ფილმი „ბედს დავეძებ“,
17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია,
17.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „ძველ მთელი“. ფერადი გამოსახულებით,
18.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა,
18.30 — განცხადებები,
18.35 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა,
19.05 — მოსწავლეთათვის — „კოცონი“,
19.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „ცვლა“. პრემიერა,
20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — „საესტრადო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით,
21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია“. „1929 წელი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — სპორტული პროგრამა: 1) ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ჰელსინკიდან),

29 იანვარი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „ხელმარჯვე ოსტატები“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „თქვენთვის, მშობლებო“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „შეეხსწავლოთ ქართული ენა“,
12.45 — „ესსერთობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის,
13.45 — „საესტრადო სუვენირები“. ფერადი გამოსახულებით,
14.15 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.00 — „დიადი ოქტომბერი-60“. რეპინის რევოლუციური ტრილოგია,
15.30 — „თბილისი და თბილისელები“,
16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,
16.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მუსიკალური ფილმი „მღერის ლამარა ჟორნია“. ფერადი გამოსახულებით,
17.40 — „საზოგადოებრივი აზრი და მართლშეგნება“,
18.15 — „ეკრანის ოსტატთა ნობათი“. ფერადი გამოსახულებით,
19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.15 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ჰელსინკიდან),
20.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“ — ჯარლო ჯალაძე.

30 იანვარი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „მაღვიძარა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „შვილსწავლოთ რუსული ენა“,
11.45 — ნახატი ფილმი,
12.00 — „კინოს მოყვარულთათვის“,
13.00 — „მუსიკალური კოსტიკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.30 — „კინოფაფშა“,
14.00 — „საკადრაკო სკოლა“,
14.30 — „ეროდენის ეკრანი“ (ქართულ ენაზე),
14.50 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა,
15.20 — კონცერტი,
15.50 — „ღვაწლმოსილი მეცნიერი ალექსანდრე ჯალაბადაძე“,
16.20 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ჰელსინკიდან),
17.00 — „საერთაშორისო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.30 — „შრომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი,
18.20 — კინონარკვევი,
18.30 — უფროსკლასელთათვის — „რა უნდა ვიცოდეთ თეატრის შესახებ“. ფერადი გამოსახულებით,
19.15 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ჰელსინკიდან),
20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.10 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „საუბარი ვერიკო ანჯაფარიძესთან“, პრემიერა,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — საესტრადო გადაცემა — „თქვენი თხოვნით“,
23.05 — საერთაშორისო ტურნირი თაიესუფალ ჭიდაობაში. ვიდეოჩანაწერი.

ტელევიზია

22 იანვარი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან); 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — დოკუმენტური ფილმი „დაპყრობილი ჩრდილოეთი“, 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჭორფლიანი მკურნალი“, 12.10 — „შვილსწავლოთ რუსული ენა“, 12.55 — მხატვრული ფილმი „გიორგი სედოვი“ ფერადი გამოსახულებით. 14.15 — „ცაცლიდან — „ადამიანი — საზრუნავი უპირველესი“ სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „XX საუკუნის ქიმერები“ (ქართულ ენაზე), 14.35 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმები „მიხაი ზიჩი“ და „მეგედელი“, 15.25 — „თბილისის საოპერო თეატრი მოსკოვში“, 16.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიტყვა ლენინზე“, 17.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.25 — „სპორტული კალეიდოსკოპი“ ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 19.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სულების შემყიდველები“ პრემიერა (გადოცემა მოსკოვიდან), 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის შესახვედრად“, 21.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მხატვრული ფილმი „სერენადა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოს